

როგორ გაიცემა რეკომენდაციები გრიპის ვაქცინის შემადგენლობაზე

11 თებერვალი, 2010 წელი

კითხვა: რა ხდება კონსულტაციების დროს?

პასუხი: კონსულტაციები ტარდება წელიწადში ორჯერ, ერთი - ჩრდილოეთ ჰემისფეროსთვის (ძირითადად თებერვალში) და მეორე სამხრეთ ჰემისფეროსთვის (ძირითადად სექტემბერში).

ეს კონსულტაციები ტარდება, რათა შეჯამდეს გრიპის ვირუსების ანალიზი, რომელიც შეგროვდა ჯანმო-ს მიერ ნაციონალური ლაბორატორიების გლობალური ქსელიდან (GISN) და მიეცეს რეკომენდაციები ჯანმო-ს, რომელი გრიპის ვირუსები უნდა შედიოდეს მიმდინარე სეზონის გრიპის ვაქცინაში. ვირუსის ანალიზების შევსება ხდება ეპიდემიოლოგიური და კლინიკური ინფორმაციით. ამ შეხვედრებზე განიხილება გრიპის ვირუსი როგორც ინფექციის გამომწვევი ადამიანებში, ასევე ვისთვის იქნება დამზადებული ექსპერიმენტული ან კომერციული ვაქცინები. ასეთი ვირუსებია - პანდემიური A(H1N1), სეზონური გრიპის, A(H5N1) გრიპის და A(H9N2) გრიპის ვირუსები. აღნიშნულ შეხვედრებზე ასევე განიხილება სეროლოგიური კვლევები იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აღნიშნული ვაქცინის მიერ გამოქვეყნებული ანტისხეულები მოცირკულირე ვირუსს, ვაქცინის ვირუსის რეასორტაციის შესაძლებლობები და რეფერენს რეაგენტები. ყველა შესაბამის მოსაზრებაზე დაფუძნებით, კონსულტაციების შედეგად, გაიცემა რეკომენდაციები გრიპის ვაქცინის შემადგენლობის შესახებ.

სხვა ვაქცინებისგან განსხვავებით, გრიპის ვაქცინის შემადგენლობაში შემავალი ვირუსები ხშირად ჩანაცვლდება, რადგან მოცირკულირე გრიპის ვირუსები განიცდიან მუტაციას და იცვლებიან. აღნიშნული ცვლილებების აღმოსაჩენად საჭიროა ვირუსის გლობალური გაცვლა და მონიტორინგი.

კითხვა: ვინ არის ჩართული აღნიშნულ პროცესში?

პასუხი: კონსულტაციებში ჩართულნი არიან მრჩეველები ჯანმო-სთან მოთანამშრომლე გრიპის ცენტრებიდან და რეგულირების ეროვნული სააგენტოები. ასევე არიან დამკვირვებლები - გრიპის ეროვნული და ჯანმო-სთან მოთანამშრომლე ცენტრებიდან, აკადემია და სხვა პარტნიორები. დამკვირვებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დისკუსიაში, მაგრამ ჯანმო-სთვის რეკომენდაციები გაიცემა მხოლოდ მრჩეველების მიერ. ვაქცინების ინდუსტრიის წარმომადგენლები არ იღებენ მონაწილეობას შეხვედრაში.

კითხვა: რა არის გრიპის ზედამხედველობის გლობალური ქსელი (GISN)?

პასუხი: GISN გლობალური საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ლაბორატორიული ქსელია, კოორდინირებული ჯანმო-ს მიერ. ამჟამად შედგება 131 გრიპის ნაციონალური ცენტრისგან (NICs) 102 ქვეყანაში, 5 ჯანმო-სთან მოთანამშრომლე გრიპის ცენტრისგან (CCs), 4 აუცილებელი მარეგულირებელი ლაბორატორიისგან და 11 ჯანმო-ს H5 რეფერენს ლაბორატორიისგან.

ეს ქსელი ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მრავალ აქტივობას, მათ შორის პოტენციურად პანდემიური ვირუსის გაფრთხილებასა და შეფასებას, NICs - ის მიერ კლინიკური ნიმუშების შეგროვებას და ტესტირებას,

ასევე შემდგომ ტესტირებას და გრიპის ვირუსის იზოლაციების დახასიათებას ჯანმო-ს CCs-სა და აუცილებელი მარეგულირებელი ლაბორატორიების მიერ. აღნიშნული ქსელი ქვეყნების მასშტაბით ხელმძღვანელობს ისეთ ღონისძიებებს, როგორც არის-ტრენინგები, რეაგირება აფეთქებაზე, ტესტების განვითარება, ტესტირება ანტივირუსულ რეზისტენტობაზე და მნიშვნელოვანი აღმოჩენების მეცნიერული ინტერპრეტაცია.